

ტექნიკური დავალება
სერვისის გაუმჯობესების მიზნით აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებული საოჯახო სასტუმრო
სახლების წარმომადგენლების სატრენინგო მომსახურება

დანართი N1

1. შესყიდვის ობიექტის დასახელება: აჭარის ა.რ ხუთ მუნიციპალიტეტში სერვისის სფეროს წარმომადგენლებისთვის (საოჯახო სასტუმრო სახლები) სერვისის გაუმჯობესების თემატიკაზე სატრენინგო მომსახურების გაწევა.

1.1. პროექტის მიზანი:

რეგიონის ტურისტულ ობიექტებში სერვისის დონის ამაღლება;
აჭარის მუნიციპალიტეტების საოჯახო სასტუმრო სახლებში დასაქმებულთათვის მომსახურების ხარისხის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარება;
აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებში მომსახურების ხარისხის მდგრადი განვითარება;
აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლებში კვების სპეციფიკის შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაზიარება.

2. მომსახურების აღწერა:

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა 2021 წლის 10 ოქტომბრამდე უნდა განახორციელოს საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლებში სერვისის თემატიკაზე (ვიზიტორთა საოჯახო სასტუმრო სახლში განთავსებისა და კვებით უზრუნველყოფის საკითხები და სპეციფიკა) მიმართული სატრენინგო მომსახურება.

ტრენინგი უნდა მოიცავდეს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებს და დისკუსიებს. ტრენინგის ხანგრძლივობა უნდა იყოს თითოეულ სოფელში არანაკლებ 2 დღე და ჯამში სატრენინგო კურსი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10 საათს.

სატრენინგო მომსახურებაში ჩართული უნდა იყოს აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის არანაკლებ 25 სოფელში არსებული საოჯახო სასტუმრო სახლების წარმომადგენლები (ჯამში არანაკლებ 250 ადამიანი).

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ტრენინგების ჩატარება უნდა უზრუნველყოს აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის წინასწარ შერჩეულ სოფლებში და საოჯახო სასტუმრო სახლში. (თითოეულ სოფელში ტრენინგზე დამსწრეების რაოდენობა არანაკლებ 10 ადამიანი).

პანდემიიდან გამომდინარე, როდესაც ტურიზმის სექტორი არ არის აქტიურად დატვირთული, მნიშვნელოვანია ეს დრო გამოვიყენოთ სასწავლო პროცესისათვის და მაქსიმალურად, მცირე ჯგუფებისათვის, ადგილზე, თითოეულ სოფელში, ორგანიზება გაუკეთდეს სატრენინგო პროცესს.

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტიდან ტრენინგების კოორდინატორის და ტრენერების ტრანსპორტირება ყოველდღიურად ტრენინგის ჩატარების ადგილამდე და უკან.

საჭიროების შემთხვევაში ღამისთევის და კვების უზრუნველყოფით. (გრაფიკი შეთანხმდება ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად).

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ტრენინგის მიმდინარეობის თითოეული დღისთვის უნდა უზრუნველყოს წყალი და ყავა ყველა მონაწილისთვის და დღის განმავლობაში ერთჯერადი კვების (ლანჩის) ორგანიზება ჯგუფებისთვის. მენიუ შემსყიდველთან შეთანხმდება წინასწარ.

სატრენინგო პროცესთან დაკავშირებული ყველა დეტალი, მათ შორის სატრენინგო თემატიკა, ტრენერები, ლოკაციები, ფორმატი და სხვა ყველა დეტალი უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს პროექტის დაგეგმარებაში ცვლილებები პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.

გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ტრენინგისათვის აუცილებელი ტექნიკური საკითხები: ტრენინგის დარბაზი - შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საკონფერენციო/სატრენინგო დარბაზი ან/და რომელიმე საოჯახო სასტუმრო სახლის დიდი ოთახი, (გათბობის/გაგრილების სამუშაოებით აღჭურვილი), პროექტორი და ლეპტოპი, საკანცელარიო ნივთები.

ასევე უზრუნველყოს შესაბამისი სერტიფიკატის დამზადება (მაღალი ხარისხის მასალა, ზომა და დიზაინი შემსყიდველთან შეთანხმებით).

გამარჯვებულმა კომპანიამ, წინასწარ უნდა მოახდინოს ყველა ლოკაციის სატრენინგო პროგრამისა და სატრენინგო მასალის ატვირთვა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სერვისი განვითარების ონლაინ პლატფორმაზე (serviceajara.ge), რათა უზრუნველყოფილ იქნას აღნიშნულ ლოკაციებიდან პირთა ონლაინ რეგისტრაციის შესაძლებლობა.

3. ტრენინგების ჩატარების ადგილი

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა განახორციელოს აჭარის ა.რ. ტერიტორიაზე

არსებული სასტუმრო საოჯახო სახლების წარმომადგენლებისათვის სატრენინგო მომსახურება შემდეგ სოფლებში:

ა) აჭარის ა.რ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფ:

ლეღვა
ქვედა კვირიკე
ზენითი
ზედა სამება
ხუცუბანი
სახალვაშო

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

ბ) აჭარის ა.რ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფელი: კაპნისთავი

ჭარნალი
კირნათი- მარადიდი
ჩიქუნეთი
ზედა ჩხუტუნეთი

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

გ) აჭარის ა.რ. ქედის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფელი: მილისი

ზვარე

გულები-ზესოფელი

უჩხითი

დანდალო

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

დ) აჭარის ა.რ. შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფელი: ბრილი

ნენია

პაპოშვილები

დარჩიძეები

ჭვანას ხეობა

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

ე) აჭარის ა.რ. ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების ობიექტების წარმომადგენლები:

სოფელი: თაგო

დანისპარაული

უჩხო

ბედლეთი

დორჯომის ხეობის სოფელი

(ჯამში არანაკლებ 50 პიროვნება)

ლოკაციების შეცვლა და გადაადგილება შესაძლებელია შემსყიდველის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.

4. ტრენინგის თემები და თემატიკა:

1. თემა „განთავსების ობიექტის ფუნქციონირების სპეციფიკა.“

თემატიკა:

- სოფლად არსებული სასტუმრო სახლების ტიპები და მათი საერთაშორისო სტანდარტები.
- ღამისთევა-ინდივიდუალური და ჯგუფური შეთავაზებები.
- სასტუმრო სახლის ინტერიერი და ექსტერიერი.
- კოვიდ-19 შესაბამისი რეგულაციების გაცნობა.
- დალაგების თავისებურებები და სერვისების კალკულაცია.
- სტუმრის მიღების პროცედურები და ანგარიშსწორების საკითხები.

2. თემა „სამჯერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში და მათი სწორად სერვირება.“

თემატიკა:

- სამჯერადი კვების ორგანიზება საოჯახო სასტუმროში (საუზმე, სადილი, ვახშამი).
- ადგილობრივი კერძების უპირატესობა.
- სერვირების სპეციფიკა.
- კვების კალკულაცია.